

საქართველოს რესპუბლიკა
2010-12-31

სააკაშვილის მტერი ისევ სააკაშვილია: მთავრობის გადადგმული
ნაბიჯები ძალიან გააღიზიანებს მოსახლეობას

გთავაზობთ დამოუკიდებელი ექსპერტის ბატონ ლადო ჰაპავას 2010
წლის პოლიტიკურ-ეკონომიკურ შეფასებას.

- ბატონო ლადო, 2010 წლის მიწურულს კიდევ ერთხელ გადავავლოთ
თვალი, როგორი წელი იყო ის საქართველოსთვის პოლიტიკური
თვალთახედვით.

- თუ საერთაშორისო ურთიერთობის სფეროს ავიღებთ, შეიძლება
ითქვას, რომ ქვეყანამ წარმატებებს მიაღწია. სააკაშვილმა და მისმა
ხელისუფლებამ მოახერხა იმ იზოლაციის გარღვევა, რომელშიც ის
მოექცა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ. ამ თვალსაზრისით, გამორჩეულია
ბარაკ ობამას შეხვედრა მიხეილ სააკაშვილთან, მისი მოხსენებით
გამოსვლა ევროპარლამენტში, ის მხარდაჭერა, რომელიც ამერიკის
შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა გამოხატეს საქართველოს
მიმართ. მოწმენი გავხდით იმისა, თუ როგორ აღიარა საერთაშორისო
საზოგადოებამ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ნაწილის
დაპყრობა.

- რაც შეეხება ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ვითარებას.

- ამ მხრივ ეს წელიწადი არასახარბიელო იყო. რამდენადაც შედარებით
კარგ იმიჯს იქმნიდა ქვეყნის გარეთ, მით მეტად არასასიამოვნო იყო
სააკაშვილის გამოსვლები ქვეყნის შიგნით, ხოლო კიდევ უფრო ძნელად
გადასატანია ხალხისთვის მისი მთავრობის ქმედება.

ხელისუფლებამ 2010 წლის გაზაფხულზე ადგილობრივი არჩევნების
გზით გაინაღდა თბილისი, ხოლო ამის შემდეგ რეპრესიული მანქანა
აამუშავა, განსაკუთრებით ეს თვალსაჩინო წლის ბოლოს გახდა. რა
დაუშავა მთავრობას აფხაზეთიდან დევნილმა ხალხმა, მათი
გამოსახლება რომ დაიწყო?! ან რატომ დაანგრია დინამოს ჩოგბურთის
კორტები.

სამწუხაროდ, როცა უმსგავსო ნაბიჯებს დგამს მთავრობა, მას არ ჰყავს
მოწინააღმდეგე. საპარლამენტო ოპოზიცია სწორედ ისეთია, როგორიც
მთავრობას გაუხარდებოდა. არასაპარლამენტო ოპოზიცია კი
ერთმანეთის ქიშპსა და ტალახის სროლაზე გადაერთო. საბოლოო ჯამში,
ხალხი იჭყლიტება, ხოლო ხელისუფლება საკმაოდ კომფორტულად
გრძნობს თავს და ყველას - უცხოელებსაც და თავის ხალხსაც უჩვენებს,
ნახეთ, როგორი ოპოზიცია გვყავსო...

- თქვენი აზრით, რისთვის იბრძვის ოპოზიცია, მით უფრო
ბოლოდროინდელ დაპირისპირებას თუ გავიხსენებთ...

- იმისთვის, თუ ვინ დარჩება ოპოზიციის ერთადერთ ლიდერად, მაგრამ

არ ვიცი, რომელი არჩევნებისთვის - 2012 თუ 2013 წლისთვის. ლიდერი უწინარეს ყოვლისა საჭიროა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, ხოლო ახალი კონსტიტუციის მიხედვით, როგორც ვიცით, პრეზიდენტს თითქმის არავითარი უფლება არ ექნება. ასე რომ ერთადერთი ლიდერობისთვის ბრძოლა ოპოზიციის შიგნით, ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენების მიუხედავად, 2010 წელი ხელისუფლების გამარჯვების წელი იყო როგორც საგარეო, ისე საშინაო ფრონტზე. მთავრობამ შეძლო მისთვის სასურველი საკონსტიტუციო მოდელის მიღება. გაპიარდა ისიც, რომ პარლამენტი ქუთაისში გადავა. განაცხადეს, რომ მთავრობის სახლიც იქ აშენდება. მაგრამ ისეთი მცირე ზომის ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, ორი დედაქალაქი რა საჭიროა?!

- როგორი იყო 2010 წლის ეკონომიკა თქვენი შეფასებით.
- ეს იყო გამორჩეული ინფლაციის წელიწადი. არა იმიტომ, რომ ინფლაცია სხვა წლებში არ გვქონდა, არამედ იმიტომ, რომ ვდგავართ ერთი ძალიან ცუდი შესაძლებლობის წინაშე. კერძოდ, ჩვენში ინფლაციური სპირალი ყალიბდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობა თითქოს ცდილობს მოსახლეობის მდგომარეობა გააუმჯობესოს, მაგრამ ამისთვის ისეთ ნაბიჯებს დგამს, რაც ინფლაციის ზრდას უწყობს ხელს. წლის მიწურულს საკმაოდ კურიოზულ მოვლენასთან გვქონდა საქმე. მიხეილ სააკაშვილმა აღიარა მაღალი ინფლაცია და მთავრობას ანტიინფლაციური გეგმის შემუშავება შესთავაზა, რომელიც ნახალწლევს მზად უნდა იყოს. ამ დროს პრემიერ-მინისტრმა თქვა, ინფლაციური ვითარების გამო მოსახლეობას მდგომარეობა რომ შევუმსუბუქოთ, 20-ლარიან ვაუჩერს დავურიგებთო. ეს ნიშნავს, რომ თითოეულ ადამიანს, რომელსაც ფული გადასახადებზე უნდა დაეხარჯა, ახლა წავა და სამომხმარებლო ბაზარზე დახარჯავს, ანუ ფულის მიწოდება სამომხმარებლო ბაზარზე გაიზრდება, რაც ინფლაციის ზრდის ერთ-ერთი წყაროა. ეს არის მთავრობის პროფესიონალიზმი. ეს არის დახმარება, როცა მოსახლეობას კიდევ უფრო უძვირებ ცხოვრებას.

- ბატონო ლადო, რამ გამოიწვია ასეთი მაღალი ინფლაცია, რომელსაც მთავრობაც კი ხმამაღლა აღიარებს.

- ინფლაცია გამოწვეული იყო როგორც საგარეო, ისე შიგა ფაქტორით. რუსეთის ევროპულ ნაწილში ხანძარმა მარცვლეულის მოსავალი გაანადგურა, რის გამოც რუსეთის პრემიერ-მინისტრმა მარცვლეულის ექსპორტი აკრძალა. ამან საერთაშორისო ბაზარზე მასზე ფასის გაზრდა გამოიწვია. მართალია, ჩვენ ხორბალი უკრაინიდან შემოგვქონდა, მაგრამ როცა ზოგადად გაძვირდა ხორბალი, უკრაინული ხორბლის ფასმა ჩვენთვისაც აიწია. პურზე ფასის აწევამ სხვა პროდუქტების გაძვირება გამოიწვია. ამას ეკონომიკურ თეორიაში დანახარჯებით გამოწვეული ინფლაცია ჰქვია. თანაც ყველაზე შეჭირვებული მოსახლეობა ძირითადად პურიტ ნაყრდება და შედარებით ძვირადღირებული

პროდუქციის მოხმარების ჩანაცვლება სწორედ მისით ხდება. მეორე მხრივ, მოხდა ის, რომ ქვეყანამ გარკვეული ფინანსური დახმარება მიიღო, როგორც აგრესიის მსხვერპლმა. უცხოური ვალუტის შემოდინებამ ლარის გამყარება და დოლარის გაიაფება გამოიწვია. ეს რომ ნახტომისებურად მომხდარიყო ეკონომიკას დაანგრევდა, მაგრამ ეროვნულმა ბანკმა ამ პროცესს კარგად გაართვა თავი. ამას ეკონომიკურ თეორიაში მოთხოვნის გზით გამოწვეული ინფლაცია ქვია. ასე, რომ გვაქვს ინფლაციის ორი ძირითადი წყარო, რომელიც მომავალ წელსაც გაგრძელდება. ამ ფონზე ვხედავთ, რომ გაძვირდა მგზავრობის გადასახადი, წყლისა და დასუფთავების ტარიფი, რაც ასევე ზოგადად ქვეყანაში ფასების დონის ზრდამ გამოიწვია.

- რას გვიშველის ანტიინფლაციური პროგრამა.

- ჯერ ერთი, არ მგონია, რომ ეს პროგრამა დაიწერება და საერთოდ, მეტსაც გეტყვით, არ უნდა შეიქმნას არანაირი ანტიინფლაციური პროგრამა. ქვეყანას უნდა ჰქონდეს ეკონომიკური განვითარების პროგრამა, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად ინფლაციის თემაც იქნება გათვალისწინებული.

- თქვენი აზრით, რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო იმისათვის, რომ მსგავსი პრობლემებისთვის თავი აგვერიდებინა.

- შეუძლებელია ამაზე საუბარი. ქვეყანაში ყველაფერი შესაცვლელია ქვეყნის მმართველობიდან დაწყებული საშუალო სკოლით დამთავრებული. ფუნდამენტური ცვლილებებია საჭირო. ქვეყანას ისეთი ხელმძღვანელი უნდა ჰყავდეს, რომელსაც ეკონომიკა საქმისთვის სჭირდება და არა პიარისთვის.

- ბატონო ლადო, რამდენად მართებულია ქვეყნის პრიორიტეტად ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის გამოცხადება.

- და ასევე ინფრასტრუქტურა გამოცხადდა პრიორიტეტად, რასაც მივესალმები. შეუძლებელია ქვეყნის განვითარება ინფრასტრუქტურის გარეშე, მაგრამ არა უხარისხოდ, ისე, როგორც გომბორის გზა გაკეთდა. რაც შეეხება ტურიზმს, ის არ შეიძლება იყოს პრიორიტეტი. როგორ შეიძლება სამმილიონიანმა ქვეყანამ ათი მილიონი ტურისტი მიიღოს. ესე იგი, ჩვენ ყველა მომსახურე პერსონალად უნდა გადავიქცეთ. წარმოვიდგინოთ, რომ კვალავ განვითარდა გლობალური ან თუნდაც რეგიონული ეკონომიკური კრიზისი, რის გამოც ტურისტი არ ჩამოვა. მაშინ საქართველოც ხომ კრიზისში აღმოჩნდება, რადგან ეკონომიკის სხვა დარგები განუვითარებელი იქნება. უფრო ლოგიკურია, სოფლის მეურნეობის პრიორიტეტად გამოცხადება, მაგრამ ამას დარგის სპეციალისტები სჭირდება. თუ მართლა ეს უნდა ქვეყანას, ბაყაყების ექსპორტზე, ნიანგების მოშენებასა და ბურების ჩამოსახლებაზე არ უნდა ლაპარაკობდეს მთავრობა. ასეთ ხალხს კომპეტენცია აკლია. ჩემი აზრით, ჩვენს მთავრობაში კარგი, ლამაზი გოგო-ბიჭები გვყავს, მაგრამ სახელმწიფო მოღვაწეები გვაკლია.

- და მაშინ რა ეშველება ქვეყანას. თანაც მთავრობას ოპტიმისტური განწყობა აქვს.

- დღევანდელი გადასახედიდან საქართველოს არსებული მდგომარეობიდან სიკეთე, პროფესიონალიზმი და გონიერება გამოიყვანს. ამდენ ბოროტებას მთავრობა არ უნდა სჩადიოდეს - ბოროტებით, სიძულვილითა და არაპროფესიონალიზმით ქვეყანას ვერ ავაშენებთ!

ინფლაცია რომ გარდაუვალია, ეს მიხეილ სააკაშვილმაც განაცხადა. ბიუჯეტის პრობლემებს თავად მთავრობაც ელოდება. აბა რისთვის აპირებს 2011 წელს ევროობლიგაციების გაყიდვას. არადა ჯერ კიდევ 2008 წელს აღებული ნახევარი მილიარდი ობლიგაციის ვალი 2013 წელს არის გასასტუმრებელი. ეს არის ოპტიმიზმის მანიშნებელი.

- მოკლედ, თქვენ პესიმისტურად ხართ განწყობილი.

- პესიმისტურად კი არა, რეალისტურად. თოვლის ბაბუას როლს ვერ შევასრულებ, რომელმაც ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაახაროს ბავშვები. არც მთავრობაში არიან ამდენად პატარები და არც თქვენი გაზეთია საბავშვო. მაშ, რისთვის ვიოხუნჯო?!

- და მაინც, როგორია თქვენი მოლოდინი, ბატონო ლადო, რა მოხდება პოლიტიკურ ცხოვრებაში.

- ძალიან ცუდი სოციალური ფონია. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, რადგან მთავრობის მიერ ხალხის სიძულვილითა და უგუნურებით გადადგმული ნაბიჯები ერთ მომენტში ძალიან გამაღიზიანებელი აღმოჩნდება მოსახლეობისთვის.

- ასეთი კრიზისი ადრეც ხომ იყო, მაგრამ მაინცდამაინც არ ისმოდა პროტესტის ხმა.

- 2010 წელში ისეთი მძიმე სოციალური ფონი ნამდვილად არ იყო, რაც წინ გველოდება. რევოლუციების მომხრე არა ვარ, მაგრამ იმავდროულად არც არჩევნებით ვხედავ სერიოზული ცვლილებების მიღწევას. მაშინ სად არის გამოსავალი. სააკაშვილმა უნდა დაამარცხოს სააკაშვილი. ის თვითონ დაუშვებს შეცდომებს. ნაციონალური მოძრაობა სანამ რამდენიმე ნაწილად არ გაიხლიჩება, მანამდე ეს სისტემა ასეთივე იქნება. ნუ დაგვავიწყდება, რომ სააკაშვილი თავისი ბუნებით უფრო ოპოზიციონერია, ვიდრე პრეზიდენტი - ის ხომ თავადაც იმუქრებოდა 2009 წლის დასაწყისში, რომ ოპოზიციაში რომ ყოფილიყო, ხელისუფლებას სამ თვეში დაამხოვდა! ოპოზიციას ცვლილებების მიღწევის უნარი, სამწუხაროდ, არა აქვს, ხოლო ამის პოტენციალი ნაციონალურ მოძრაობაში ძევს: სააკაშვილის მტერი ისევ სააკაშვილია, მისი ენა და მისი ქმედება...

ესაუბრა თეა მოსია